პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2018 წელი

ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის მიხაკო წერეთლის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხს მიენიჭოს მიხაკო წერეთლის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1:849
X:483,075.825
Y:4,628,671.371
მიხაკო წერეთლის I
ჩიხი
X:482,950.236
Y:4,628,651.325
X:482,983.590
Y:4,628,652.528

03/147

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ-ნ ლ. ჯახველაძეს

გთხოვთ განიხილოთ.

გიორგი ალიბეგაშვილი

16.08.17 წ

№06/9090
16.08.17 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011798202532317

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;

ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

 # 332127

14 / აგვისტო / 2017 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

მის: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 08 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N M17014216 განცხადებით მომართა მოქალაქე მამუკა მუზაშვილმა (პ/ნ: 01004005575), რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, კუიბიშევის ქ. N4 (საკადასტრო კოდით N01.11.03.013.130).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N01.11.03.013.130) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით". აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,

სამისამართო სამსახურის უფროსი — დიმიტრი მახათაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი
№ 06/9090
"16" აგვისტო 2017

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური წახაზი
ქალაქი თბილისი
უსახელო ქუჩა

N

განცხადების ნომერი	N M17014216
მომზადების თარიღი	14.08.2017



ობიექტის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი — უსახელო ქუჩა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **03-031734637**

თარიღი: **12.12.2017**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი
მამუკა მუზაშვილი
პირადი ნომერი: 01004005575
მისამართი: თბილისი მ.ფოცხიშვილის ქ. N 5

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მოქალაქე მამუკა მუზაშვილის 2017 წლის 16 აგვისტოს მატერიალური სახით შემოსულ N06/9090 განცხადებაზე. რომლითაც მოთხოვნილია (N01.11.03.013.130)აღნიშნული საკადასტრო ერთეულის სახელდება. როგორც მოგეხსენებათ, ქ.თბილისისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14- 59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან (სსიპ-ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური) მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები. ჩვენი მოსაზრებით, ქუჩის განვითარების არეალმა უნდა მოიცვას ჩვენს მიერ რუკაზე არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია (იხილეთ დანართი).

გთხოვთ, შეისწავლოთ განცხადებაში მითითებული გარემოებები და გამოგვიგზავნოთ ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო - სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისია - კომისიის
თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტურის სამსახური

წერილის ნომერი: **60-01180122010**
თარიღი: **12.01.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

15-03/80/2138-03

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის:თავისუფლების #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 12.12.2017 წლის #03-031734637 (12.12.2017 #14-01173461647-60) განცხადება, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, რომ თქვენი მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური - მიწის ნაკვეთის
საზღვრების მომზადების განყოფილება -
განყოფილების უფროსი

რუსუდან გეჯაძე


1:849
X:483,075.825
Y:4,628,671.371
X:482,950.236
Y:4,628,651.325
X:482,983.590
Y:4,628,652.528